პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

25 ივლისი

სამშაბათი.

1961 წ.

№ 106 (1742)

გამოცემის მე-17 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კობა წაქაძე—პირველი

კავგოლოვოს ხელოვნურ ტრამპლინზე გაიმართა ორი ქვეყნის — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერეს ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო შეხვედრა.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა სპორტის ოსტატი კ. წაქაძე, რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე სამსონოვი, მესამეზე — ლეონოვი.

## შეღწევა გრძელდება

ახლახანს „ლელოს" რედაქციას მოუვიდა დეპეშა ახალი ათონიდან. დეპეშა ეხება საინტერესო მოვლენას — ახალი ათონის კირქვული მასივის შესწავლისას დღემდე უცნობი უფსკრულები იქნა აღმოჩენილი. აი დეპეშის შინაარსი: „ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგიის ლაბორატორიის ექსპედიციამ, რომელიც აწარმოებს ახალი ათონის კირქვული მასივის სპელეოლოგიურ შესწავლას, გამოავლინა დღემდე უცნობი უფსკრულები. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც ივერის მთის ჩრდილო ფერდობზე მდებარე ობს, საექსპედიციო ჯგუფმა უაღრესად რთულ პირობებში შეძლო 135 მეტრის სიღრმემდე ჩაღწევა. უფსკრულს აქვს გაგრძელება და მისი დაპყრობა გრძელდება. ჯგუფში მონაწილეობენ: ბ. გერგედავა, ა. ოქროჯანაშვილი, ა. ხომასურიძე, გ. გიგინეიშვილი, გ. მაისაია, გ. სმირი, გ. კორნეევი, ვ. გუმბა, ა. აბაშიანი, ა. უვიროვი და ზ. ტინტილოზოვი".

## „ეკიპის" თასი მოსკოვშია

გასულ შაბათს მოსკოვში მცირე სპორტულ სარბიელზე გაიმართა კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის უკანასკნელი, გადამწყვეტი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ამ თასის მრავალგზის მფლობელი რიგის არმიელთა კოლექტივი და მოსკოვის ცსკა. აღნიშნული გუნდების პირველი ფინალური მატჩი რიგაში მოიგეს მოსკოველმა კალათბურთელებმა 26 ქულის განსხვავებით.

ლატვიელებმა თამაში დაიწყეს უჩვეულო შემადგენლობით. გუნდში არ იყო არც ერთი ცნობილი ოსტატი. მწვრთნელმა ამ საპასუხისმგებლო შეხვედრის ბედი მიანდო ახალგაზრდებს, რომლებმაც ბრწყინვალედ გაამართლეს იმედები.

პირველ ნახევარს იგებენ რიგელი სპორტსმენები—31:26. სტუმრების მხარეს იყო უპირატესობა შეხვედრის მეორე ნახევარშიც. მატჩი მოიგო რიგის გუნდმა — 66:61, მაგრამ 5-ქულიანა განსხვავება საბოლოო ჯამში საკმარისი არ აღმოჩნდა. თასი წელს პირველად მოიპოვეს დედაქალაქის არმიელებმა. ლატვიელთა გუნდში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო ა. ბერგსი—20 ქულა, მოსკოველთა შორის კი ვ. ზუბკოვი—25 ქულა.

თამაშის დამთავრების შემდეგ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ვ. ჯონსმა ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის" მიერ დაწესებული თასი გადასცა მოსკოვის არმიელთა გუნდის კაპიტანს.

## ვალდებულებები ყურადღების ცენტრში

ამ დღეებში ჩვენი თვალუწვდენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელები მხოლოდ ერთი მიზნით არიან გამსჭვალული — სასახელო მიღწევებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას, რომელიც გადაწყვეტს საბჭოთა ხალხის შემდგომი კეთილდღეობის საკითხებს.

XXII ყრილობისათვის მზადებამ მოიცვა ჩვენი ცხოვრების ყველა უბანი. რასაკვირველია, ამ საერთო ფერხულში ჩაბმული არიან ფიზკულტურელები და სპორტსმენები. ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა ახალი ვალდებულებები აიღეს და გადაწყვეტილი აქვთ ყრილობის გახსნის დღეს სამშობლოს უპატაკონ მათი შესრულება.

აი ისინიც:

1. თანრიგოსანთა, ოსტატთა, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების რესპუბლიკის 7-წლიანი გეგმა შესრულდეს ვადაზე ადრე—ექვს წელიწადში ე. ი. 1964 წლის დასასრულისათვის.

2. სკკპ XXII ყრილობის გახსნისათვის:

ა) დამთავრდეს ფიზკულტურის კოლექტივების შექმნა ქალაქად და სოფლად.

ბ) რესპუბლიკის მწვრთნელები, რომლებსაც არ აქვთ ფიზკულტურული განათლება, ჩაბმული იქნან ფიზკულტურის ინსტიტუტში დაუსწრებელ ფაკულტეტზე და მწვრთნელთა სკოლაში.

გ) ორგანიზაციულად განმტკიცდეს და ამაღლდეს საწარმოთა, დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების და სასოფლო ფიზკულტურის კოლექტივებში მასობრივ - ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დონე. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო, თბილისის პოლიტექნიკური და ქუთაისის სამთო ტექნიკუმების ფიზკულტურის კოლექტივებში შეიქმნას სპორტული კლუბები.

დ) გაუმჯობესდეს ქალაქისა და სოფლის მშრომელებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. ტურისტულ ღონისძიებებში ჩაბმული იქნას რესპუბლიკის მოსახლეობის 3 პროცენტი, ხოლო საწარმოო ტანვარჯიშში მუშა-მოსამსახურეთა 15 პროცენტი. საწარმოო ტანვარჯიში დაინერგოს რესპუბლიკის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში.

ე) თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების (ინსტრუქტორები, მწვრთნელები და მსაჯები) მომზადების საქმეში და აგრეთვე ახალი სპორტული კლასიფიკაციის ათვისებისა და დოკუმენტაციის სწორად გაფორმების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის რაიონებში პრაქტიკული დახმარებისა და შეფობის გასაწევად მიმაგრებული იქნას თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, გორის, ფოთის ფიზკულტურის მოწინავე კოლექტივები და აგრეთვე სპორტული საზოგადოებებისა და უწყებათა ბრიგადები.

3. იმ ოსტატებმა და პირველთანრიგოსნებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ ინსტრუქტორის ან მსაჯის წოდება, გაიარონ საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული მუდმივმოქმედი სემინარები, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს ქალაქებსა და რაიონებში. შემდგომ კი ოსტატის წოდებისა და პირველი თანრიგის მისანიჭებლად წარდგენილ იქნან ის სპორტსმენები, რომლებსაც გააჩნიათ საზოგადოებრივი ინსტრუქტორის ან მსაჯის წოდება.

4. 1961 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის ყველა უმაღლეს, საშუალო და სპეციალურ სასწავლებელში დაინერგოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გამოცდილება—სტუდენტთა მიერ მეორე სპეციალობის (საზოგადოებრივი მწვრთნელის, მსაჯისა და ფიზკულტურის ორგანიზატორის) ათვისების შესახებ.

5. რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში 7-10 კლასელთაგან ყოველწლიურად მომზადდეს (15 პროცენტი) თანრიგოსნები და მსაჯები, ხოლო სკოლა-ინტერნატებში — 25 პროცენტი.

6. სპორტული ბაზების გამტარუნარიანობის გაუმჯობესებით მოღწეულ იქნას მომეცადინეთა რაოდენობის ზრდა. ჩატარდეს არსებული ბაზების სპეციალიზაცია, განხორციელდეს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი. ყოველივე ამის შედეგად შემცირდეს სპორტული ბაზების საიჯარო ღირებულება 30-50 პროცენტით.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად დიდი მუშაობაა ჩატარებული. მაგრამ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება მოგვიწევს. თვითეული ჩვენთაგანი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოეკიდოს ვალდებულებათა შესრულებას. უნდა გვახსოვდეს მათი ცხოვრებაში გატარება ფრიად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში კულტურისა და სპორტის საერთო აღმავლობას.

## ევროპაში უძლიერესთა შორის

1948 წელს ლონდონში, წყალბურთელთა ოლიმპიური ტურნირი მოიგო იტალიის ნაკრებმა გუნდმა. ამ წარმატებამ სტიმული მისცა წყალბურთის მძლავრ აღმავლობას ახალი ოლიმპიური ჩემპიონის სამშობლოში. სწორედ ამ წელს გადაწყდა ოლიმპიური თამაშების შემდეგ მოეწყოს ევროპის 6 უძლიერესი გუნდის ტურნირი. ინიციატორებმა დააწესეს კიდეც სპეციალური პრიზი — „იტალიის თასი". დებულების მიხედვით პირველი ტურნირი გაიმართა რომში, ხოლო ყველა სხვა მომდევნო ტურნირები იმ გუნდების სამშობლოში, რომლებიც მოიგებდნენ გათამაშებას.

მორიგი შეჯიბრება „იტალიის თასზე" გაიმართება 5 აგვისტოს მოსკოვში, რადგან საბჭოთა წყალბურთელებმა მოიგეს უკანასკნელი ტურნირი იუგოსლავიაში. ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის გულდასმით ემზადებიან ევროპის საუკეთესო გუნდები და მათ შორის საბჭოთა კავშირის ნაკრები. ამას წინათ ჩვენმა გუნდმა ჩაატარა ამხანაგური შეხვედრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან. საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: გოგოლაძე, ჩიქვანაია, კურენოი, გრიგოროვსკი, მშვენიერაძე, სემიონოვი. შეხვედრა მოიგეს ჩვენმა წყალბურთელებმა — 3:1. ბურთები გაიტანეს: კურენოიმ, ჩიქვანაიამ და მშვენიერაძემ.

გასულ შაბათს და კვირას გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრება ამჯერადაც საბჭოთა წყალბურთელებმა მოიგეს — 3:2, 6:4.

## მეორხე მამარჯვება

ტულაში მოეწყო საკავშირო პირველობის ფინალის მორიგი მატჩები ფრენბურთში. თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა მოსკოველ თანაკლუბელებს. მთელი თამაშის განმავლობაში აშკარა იყო თბილისელ სპორტსმენთა უპირატესობა, რომლებმაც მოიგეს მატჩი „მშრალი" ანგარიშით — 3:0.

თბილისში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში.

* * *





**სურათებზე:** (მარცხნივ) სევასტოპოლელი ე. ოვსიანიკოვა და გროზნოელი ფ. აფიოროვა ვარჯიშის დროს.

# ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

**1961-1964 წლებისათვის**

# ცხენოსნობა

## სათანრიგო მოთხოვნები

### ვაჟები და ქალები

**სპორტის ოსტატი**

**1. სამჭიდი უფროსი ასაკის ცხენებით** — დაიკავოს პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე,

**ან**

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე დააგროვოს: შემცირებული პროგრამით არაუმეტეს 30 საჯარიმო ქულისა, სრული პროგრამით არაუმეტეს 70 საჯარიმო ქულისა; ამასთან სამანეჟო სვლაში მიიღოს ბალთა მაქსიმუმის არანაკლებ 65 პროცენტი და დაბრკოლებათა გადალახვაში არაუმეტეს 20 საჯარიმო ქულა.

**2. სამჭიდი ახალგაზრდა ცხენებით** — დაიკავოს პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობებზე,

**ან**

საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე, რომლებშიც მონაწილეობს არანაკლებ ოთხი ორგანიზაციისა და დააგროვოს არაუმეტეს 30 საჯარიმო ქულა.

**3. დაბრკოლებათა გადალახვა** — დაიკავოს პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე,

**ან**

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე აჩვენოს შემდეგი შედეგები:

**დაბრკოლებათა გადალახვა ორ წრედ:**

ა) თუ გადასალახია 130—150 სმ სიმაღლის 13—14 დაბრკოლება, რომელთა სიგანე ფუძესთან უდრის 220 სანტიმეტრს, ხოლო ზედა ნაწილისა 160 სანტიმეტრს, თხრილის სიგანეა 4,5 მეტრი, ხტომათა რაოდენობა 16—17; მათ შორის გადასალახია 140—145 სმ სიმაღლის არანაკლებ ექვსი დაბრკოლებისა და 150 სმ. სიმაღლის ციცაბო დაბრკოლება არანაკლებ ორისა — ორ წრეში დააგროვოს არაუმეტეს 8 საჯარიმო ქულა;

ბ) თუ გადასალახია 150—160 სმ სიმაღლის 13—14 დაბრკოლება, რომელთა სიგანე ფუძესთან უდრის 250 სანტიმეტრს, ხოლო ზედა ნაწილისა 180 სანტიმეტრს, თხრილის სიგანეა 4, 5—5 მეტრი, ხტომათა რაოდენობა 16—17; მათ შორის გადასალახია 140—150 სმ სიმაღლის არანაკლებ ექვსი დაბრკოლებისა, 160 სმ სიმაღლისა ციცაბო დაბრკოლება არანაკლებ ორისა — ორ წრეში დააგროვოს არანაკლებ 12 საჯარიმო ქულა.

**დაბრკოლებათა გადალახვა ერთ წრედ:**

ა) თუ გადასალახია 130—150 სმ. სიმაღლის არანაკლებ 15 დაბრკოლებისა, რომელთა სიგანე ფუძესთან უდრის 220 სანტიმეტრს, ხოლო ზედა ნაწილისა 160 სანტიმეტრს, თხრილის სიგანეა 4, 5 მეტრი; ხტომათა რაოდენობა 16—17; მათ შორის გადასალახია 140—145 სმ. სიმაღლის არანაკლებ ექვსი დაბრკოლებისა, 150 სმ. სიმაღლის ციცაბო დაბრკოლება არანაკლებ ორისა—განვლოს მარშრუტი საჯარიმო ქულათა გარეშე.

ბ) თუ გადასალახია 130—160 სმ სიმაღლის არანაკლებ 15 დაბრკოლებისა, რომელთა სიგანე ფუძესთან უდრის 250 სანტიმეტრს, ხოლო ზედა ნაწილისა 160 სანტიმეტრს, თხრილის სიგანეა 5 მეტრი, ხტომები არანაკლებ თვრამეტისა; მათ შორის გადასალახია 140—150 სმ. სიმაღლის არანაკლებ ექვსი დაბრკოლებისა, 160 სმ სიმაღლის ციცაბო დაბრკოლება არანაკლებ ორისა — დააგროვოს არაუმეტეს ოთხი საჯარიმო ქულისა;

გ) თუ გადასალახია 130—170 სმ სიმაღლის არანაკლებ 10 დაბრკოლებისა, რომელთა სიგანე ფუძესთან უდრის 300 სანტიმეტრს, ხოლო ზედა ნაწილისა 200 სანტიმეტრს, თხრილის სიგანეა 5 მეტრი, ხტომები 12—13, მათ შორის გადასალახია 170 სმ სიმაღლის ორი დაბრკოლება და 150 სმ სიმაღლის სამი დაბრკოლება — დააგროვოს არანაკლებ 9 საჯარიმო ქულისა.

**შეჯიბრება ხტომის სიძლიერეზე** — მოცემული შეჯიბრების ყველა წრეში გადალახოს დაბრკოლებები საჯარიმო ქულების გარეშე; ამასთან დაბრკოლებათა სიმაღლე უკანასკნელ წრეში უნდა იყოს არანაკლებ 190 სანტიმეტრისა.

**4. ცხენის გაწვრთნა.** არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე „დიდი პრიზის" პროგრამით დააგროვოს შესაძლებელ ბალთა არანაკლებ 72 პროცენტისა.

**5. ხტიპლ-ჩეზი.** საბჭოთა კავშირის პირველობებზე, არანაკლებ 4-კილომეტრიან დისტანციაზე დაიკავოს პირველი ადგილი, ან მეორე ადგილი ორჯერ ორი წლის განმავლობაში,

**ან**

მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების ზონალურ შეჯიბრებებზე არანაკლებ 4-კილომეტრიან დისტანციაზე დაიკავოს პირველი ადგილი, ამასთან შეჯიბრებებში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ 8 პირველთანრიგოსანი სპორტსმენი.

6. ცხენოსნობის ერთ-ერთ სახეობაში დაამყაროს საკავშირო რეკორდი, ამასთან ჰქონდეს პირველი თანრიგი.

### I თანრიგი

**1. სამჭიდში ახალგაზრდა ცხენებით** დაიკავოს პირველი ადგილი საკავშირო ან რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაზე, რომელშიც მონაწილეობს არანაკლებ 10 მეორეთანრიგოსანი სპორტსმენი,

**ან**

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე დააგროვოს არაუმეტეს 70 საჯარიმო ქულა.

**2. ორჭიდი.** არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე სამანეჟო სვლასა და სამჭიდის ნორმატივების მიხედვით დაბრკოლებათა გადალახვაში უფროსი ასაკის ცხენებით — დააგროვოს არაუმეტეს 100 საჯარიმო ქულა ორივე სახეობაში.

**3. დაბრკოლებათა გადალახვა.** დაიკავოს პირველი ადგილი საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე, რომელშიც მონაწილეობს არანაკლებ 15 მეორეთანრიგოსანი სპორტსმენისა; ამასთან დაბრკოლებათა სიმაღლე არ უნდა იყოს 130 სანტიმეტრზე ნაკლები,

**ან**

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე, რომლებიც ტარდება „სამონადირეო პარკურის", „არჩევითი", „ექვსი დაბრკოლების" ან „ჩქაროსნული" წესებით, ამასთან დაბრკოლებათა სიმაღლეა 110—130 სმ და უფრო მეტი — დაიკავოს პირველი ადგილი, თუ შეჯიბრებაში მონაწილეობს არანაკლებ 20 სპორტსმენისა; I—III ადგილი, თუ შეჯიბრებაში მონაწილეობს არანაკლებ 40 სპორტსმენისა; 1—6 ადგილი თუ შეჯიბრებაში მონაწილეობს არანაკლებ 60 მეორეთანრიგოსანი სპორტსმენისა,

**ან**

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე აჩვენოს შემდეგი შედეგები:

**დაბრკოლებათა გადალახვა ორ წრედ:**

ა) თუ გადასალახია 100—130 სმ სიმაღლის 12—13 დაბრკოლება, რომელთა სიგანე ფუძესთან 200 სანტიმეტრამდეა, ხოლო ზედა ნაწილში 120 სანტიმეტრამდე, თხრილის სიგანეა 3,5 მეტრი, ხტომათა რაოდენობა 15—16; მათ შორის გადასალახია 130 სმ სიმაღლის არანაკლებ ორი დაბრკოლებისა— ორ წრეში დააგროვოს არაუმეტეს 8 საჯარიმო ქულისა;

ბ) თუ გადასალახია 120—140 სმ სიმაღლის 13-14 დაბრკოლება, რომელთა სიგანე ფუძესთან 200 სანტიმეტრამდეა, ხოლო ზედა ნაწილში — 140 სანტიმეტრამდე, თხრილის სიგანეა 4 მეტრი, ხტომათა რაოდენობა 16-17; მათ შორის გადასალახია 140 სმ სიმაღლის არანაკლებ ორი დაბრკოლებისა — ორ წრეში დააგროვოს არაუმეტეს 12 საჯარიმო ქულისა.

**დაბრკოლებათა გადალახვა ერთ წრედ:**

ა) თუ გადასალახია 110-130 სმ სიმაღლის არანაკლებ 12 დაბრკოლებისა, რომელთა სიგანე ფუძესთან 200 სანტიმეტრამდეა, ხოლო ზედა ნაწილში — 120 სანტიმეტრამდე, თხრილის სიგანეა 3,5 მეტრი, ხტომათა რაოდენობა 15; მათ შორის გადასალახია 130 სმ სიმაღლის არანაკლებ 2 დაბრკოლებისა — განვლოს მარშრუტი საჯარიმო ქულათა გარეშე:

ბ) თუ გადასალახია 120-140 სმ სიმაღლის არანაკლებ 12 დაბრკოლებისა, რომელთა სიგანე ფუძესთან 200 სანტიმეტრამდეა, ხოლო ზედა ნაწილში —140 სანტიმეტრამდე, თხრილის სიგანეა 4 მეტრი, ხტომათა რაოდენობა — 15; მათ შორის გადასალახია 140 სმ სიმაღლის არანაკლებ ორი დაბრკოლებისა — დააგროვოს არაუმეტეს 4 საჯარიმო ქულისა.

**4. ცხენის გაწვრთნა.** არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე „მცირე პრიზის" პროგრამით დააგროვოს შესაძლებელ ბალთა არანაკლებ 65 პროცენტისა; „საშუალო პრიზის" პროგრამით დააგროვოს შესაძლებელ ბალთა არანაკლებ 62 პროცენტისა.

**5. ხტიპლ-ჩეზი.** მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების ზონალურ შეჯიბრებაზე დაიკავოს II-III ადგილი,

**ან**

დაიკავოს პირველი ადგილი არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე, რომელშიც მონაწილეობს არანაკლებ 5 მეორეთანრიგოსანი სპორტსმენი.

**6. დაბრკოლებებიანი დოღი.** არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებაზე, რომელშიც მონაწილეობს სულ ცოტა 5 მეორეთანრიგოსანი სპორტსმენი — დაიკავოს პირველი ადგილი სამჯერ, არაუმეტეს 2-კილომეტრიან დისტანციაზე.

### II თანრიგი

ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე ცხენოსნობის ერთ-ერთ სახეობაში აჩვენოს შემდეგი შედეგები:

**1. ორჭიდი:** სამანეჟო სვლა ახალგაზრდა ცხენების პროგრამით.

**დაბრკოლებათა გადალახვა** — დაბრკოლებათა სიმაღლეა 100-110 სმ სიგანე ფუძესთან 150 სანტიმეტრამდე, ზედა ნაწილში— 100 სანტიმეტრამდე, ხტომი — 12, მათ შორის არანაკლებ ორისა 110 სმ სიმაღლის დაბრკოლებაზე, ორჭიდის ჯამში დააგროვოს არაუმეტეს 110 საჯარიმო ქულისა.

**2. დაბრკოლებათა გადალახვა**— თუ გადასალახია 100-110 სმ სიმაღლის არანაკლებ 10 დაბრკოლებისა, რომელთა სიგანე ფუძესთან 150 სანტიმეტრამდეა, ზედა ნაწილში 100 სანტიმეტრამდე, თხრილის სიგანეა 250 სმ, ხტომათა რაოდენობა — 12, მათ შორის გადასალახია 110 სმ სიმაღლის არანაკლებ ორი დაბრკოლებისა—განვლოს მარშრუტი საჯარიმო ქულების გარეშე.

**3. დაბრკოლებებიანი დოღი.** არანაკლებ ორკილომეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობს სულ. ცოტა 5 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი—დაიკავოს პირველი ადგილი ან ორჯერ მეორე ადგილი ამ სამჯერ მესამე ადგილი.

**4. ხადა დოღი.** არანაკლებ 6-კილომეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობს სულ ცოტა 5 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი — დაიკავოს პირველი ადგილი ან ორჯერ მეორე ადგილი.

### III თანრიგი

ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე ცხენოსნობის ერთ-ერთ სახეობაში აჩვენოს შემდეგი შედეგები:

**1. ორჭიდი.** შეჯიბრება ხდება შეჯიბრების წესების 64-ე პარაგრაფის მიხედვით, ორივე სახეობიდან ცხენების შეფასების გამოკლებით: სამანეჟო სვლა ცხენის გაწვრთნის დაწყებითი პროგრამით (შეჯიბრების წესები, პარაგრაფი— 64, პუნქტი — მესამე).

**დაბრკოლებათა გადალახვა** — დაბრკოლებათა სიმაღლეა 90-100 სმ, სიგანე ფუძესთან 100 სანტიმეტრამდე, ზედა ნაწილში — 80 სანტიმეტრამდე, თხრილის სიგანეა 2 მეტრი, დაბრკოლებათა რაოდენობა — არანაკლებ რვისა, მათ შორის 100 სმ. სიმაღლის სულ ცოტა ორი დაბრკოლება.

ორჭიდის ჯამში დააგროვოს არანაკლებ 75 ბალისა.

**2. დაბრკოლებათა გადალახვა.** თუ გადასალახია 90-100 სმ სიმაღლის არანაკლებ 8 დაბრკოლებისა, რომელთა სიგანე ფუძესთან 100 სანტიმეტრამდეა, ზედა ნაწილში — 80 სანტიმეტრამდე, თხრილის სიგანე 200 სმ, ხოლო სულ ცოტა ორი დაბრკოლება 100 სმ სიმაღლისა — განვლოს მარშრუტი საჯარიმო ქულების გარეშე.

**3. დაბრკოლებებიანი დოღი.** არანაკლებ ორკილომეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობს სულ ცოტა 5 სპორტსმენი—დაიკავოს პირველი ადგილი, ან ორჯერ მეორე ადგილი, ან სამჯერ მესამე ადგილი.

**4. ხადა დოღი.** არანაკლებ 6000
მ. დისტანციაზე შეჯიბრებაში, რო
მელშიც მონაწილეობს სულ ცოტ
5 სპორტსმენი — დაიკავოს პირ
ველი ადგილი, ან ორჯერ მეორ
ადგილი, ან სამჯერ მესამე ადგილ

**თანრიგის დასამტკიცებლად** —
შეასრულოს თავისი თანრიგის მ
თხოვნები ან დაამთავროს შეჯ
რება უახლოესი მაღალი თანრიგ
პროგრამით.

### სათანრიგო მოთხოვნების შესრულების პირობები:

1. ცხენის გაწვრთნა „მცი
პრიზზე", „საშუალო პრიზზე
„დიდ პრიზზე" და ორჭიდისა
სამჭიდის სამანეჟო სვლაში ტა
დება საბჭოთა კავშირის ცხენო
ნური სპორტის ფედერაციის მი
დამტკიცებული პროგრამით.

2. სპორტის ოსტატის ნორმატ
ვის შესასრულებლად სამჭიდ
საველე გამოცდების, ხტიპლ-ჩეზ
სა და პარკურების დაბრკოლება
გადალახვის მარშრუტები და ტ
პები დამტკიცებული უნდა იყო
საბჭოთა კავშირის ცხენოსნუ
სპორტის ფედერაციის პრეზიდიუ
მის წარმომადგენლის მიერ.

3. სპორტის ოსტატის ნორმატ
ვის შესრულება „დიდ პრიზზე
შეჯიბრების შედეგების მიხედვ
ჩაითვლება იმ პირობით, თუ მსა
თა კოლეგია დამტკიცებულ
ცხენოსნური სპორტის საკავში
ფედერაციის მიერ.

4. დაბრკოლებათა გადალახ
ში დახურულ მანეჟზე შეჯიბრებ
ჩატარების დროს თხრილი შე
ლება შეიცვალოს განიერი დაბ
კოლებით.

5. სათანრიგო ნორმატივების შ
სრულება ჩაეთვლებათ სპორტსმ
ნებს, რომლებიც წლის განმავლ
ბაში მონაწილეობას მიიღებენ შ
მდეგი რაოდენობის შეჯიბრებებშ
III თანრიგი — 3-ჯერ, II თანრ
გი — 4-ჯერ, I თანრიგი — 5-ჯე
სპორტის ოსტატი — 7-ჯერ.

---

## მკითხველთა
### წერილები

### სხდომებს დერეფანში ატარებენ

მშრომელთა დეპუტატების ო
ჩირის რაისაბჭოს აღმასკომის შ
ნობის ქვედა სართულის ე
კუთხეში მოთავსებულია 6,5 კ
დრატული მეტრის სიდიდის ო
ხი. აქაა განლაგებული ნებაყო
ლობითი სასოფლო სპორტუ
საზოგადოება „კოლმეურნის" ო
მჩირის რაიონული საბჭო მ
ლი თავისი ავლადიდებით. ამ
ტარა ოთახში ერთი კარადა
ორი საწერი მაგიდა დგას.
რაისაბჭოს მთელი არქივი, ბ
ჰალტერია და ზოგიერთი სახეო
სპორტული ინვენტარიც კი.

„კოლმეურნის" რაიონული
ბჭოს პრეზიდიუმის წევრად 7
ცია არჩეული, ხოლო პლენუ
წევრად — 29. პრეზიდიუ
სხდომას ატარებენ ამ ოთახის
მდებარე დერეფანში (თუ კ
ზობელ ოთახებში არავინაა, ან
მუშაო საათები დამთავრე
ლია), პრეზიდიუმის წევრ
დერეფანში ფეხზე მდგომი ი
ნენ მოხსენებასა თუ ინფორ
ციას.

ვ. კაჩაეთა

---

ლელო

მე-2 გვ. № 106 (1742)

## სელბურთელთა შეჯიბრება დამთავრდა

ზაპოროჟიე. (ჩვენი საკ. კორ.). ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი (7X7) დამთავრდა.

ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა კიევის გუნდმა, მეორე — რიგის ხელბურთელებმა, მესამე — ერევნელებმა, მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ თბილისელები.

გოგონათა შორის უძლიერესი იყო კვლავ კიევის გუნდი, მეორე ადგილზე არიან აზერბაიჯანელები, თბილისელი გოგონები X ადგილზე გამოვიდნენ.

გ. შარაშიძე

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივლისისათვის

| II ქვეჯგუფი | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 11 | 3 | 3 | 47:24 | 25 |
| „დინამო" (კიევი) | 17 | 10 | 4 | 3 | 33:17 | 24 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 | 9 | 4 | 4 | 32:15 | 22 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 7 | 5 | 6 | 30:26 | 19 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 17 | 7 | 5 | 5 | 25:29 | 19 |
| „სპარტაკი" (ერევანი) | 16 | 6 | 6 | 4 | 23:23 | 18 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 17 | 6 | 5 | 6 | 21:22 | 17 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 18 | 5 | 5 | 8 | 21:31 | 15 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 17 | 5 | 4 | 8 | 28:32 | 14 |
| „ბელარუსი" (მინსკი) | 17 | 2 | 5 | 10 | 13:27 | 9 |
| „კალევი" (ტალინი) | 17 | 0 | 6 | 11 | 10:37 | 6 |

• • •

„დინამო" (მოსკოვი)-„დინამო" (კიევი) — 6:0
„სპარტაკი" (მოსკოვი)-„ბელარუსი" (მინსკი) — 3:0
„ზენიტი" (ლენინგრადი)-ცსკა — 1:2
„კაირატი" (ალმა-ატა)-„კალევი" (ტალინი) — 3:0

## ფეხბურთი

რიგა. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი რეზ-ი შეხვდა თბილისის „ლოკომოტივს".

თბილისელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 3:1 [illegible]

კაუნასში თამაშობდნენ [illegible] ლიდერი — „ბანგა" და [illegible] „რიწა".

გაიმარჯვა „ბანგამ" — 2:1.

### დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა თბილისის „დინამოსა" და ვორონეჟის „ტრუდის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების დუბლიორთა მატჩი.

„დინამოს" სათადარიგო შემადგენლობამ კვლავ ცუდად ჩაატარა შეხვედრა და განიცადა დამარცხება ანგარიშით 0:2.

# სპორტკლუბის შექმნის მიჯნაზე

## ცოტა რამ ისტორიიდან

1948 წლამდე აქ ფიზკულტურული მუშაობა თითქმის ხსენებაშიც არ იყო. სპორტული საზოგადოების სულ რაღაც 90 წევრი, სამადსამი პროცენტი მთელი ამ უზარმაზარი კოლექტივისა!.. სპორტული სექციები დროდადრო, არარეგულარულად მუშაობდნენ, რომელიმე შემთხვევით „ხელში მოხვედრილ" ბაზაზე, რადგან თვით საწარმოში არც ერთი, უმარტივესი სპორტული მოედანიც კი არ იყო.

ასე იყო 1948 წლამდე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დადგენილებამ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ უეცარი, მძლავრი ბიძგი მისცა თბილისის ტრანსპორტის სამმართველოშიც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. პირველი ნაბიჯი მარტივი ტიპის სპორტული მოედნის შექმნით გადაიდგა; იგი ორიოდე თვის შემდეგ უკვე მწყობრში იდგა. მაგრამ, მთავარი ამოცანა — მასობრიობის მიღწევა — ჯერ კიდევ წინ იყო.

ეს მეტად საინტერესო ღონისძიების მეოხებით გადაწყდა. სამმართველოს ფიზკულტურის საბჭოს დირექციის აქტიური მხარდაჭერით მასობრივი ტურისტული ლაშქრობა მოაწყო მცხეთაში. ფიზკულტურის საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე — გ. სამადაშვილი ადრევე ჩავიდა მცხეთაში, რომ გეგმით გათვალისწინებული 500 მოლაშქრისათვის ყველაფერი დროულად დაეხვედრებინა: ბინაც, საწოლებიც, მიკროლაშქრობების მარშრუტები... მაგრამ, წარმოიდგინეთ საბჭოს თავმჯდომარის გასაჭირი, — მეტად სასიამოვნო გასაჭირი, — როცა დაბაში 500 მოლაშქრის ნაცვლად 1.300 კაცი ჩავიდა...

ამ შემთხვევის შემდეგ სამმართველოში მთელი სიღრმით გაიგეს კარგად, საინტერესოდ ორგანიზებული ფიზკულტურულ-მასობრივი ღონისძიების მნიშვნელობა და წარმატებების მოპოვებისათვის მთავარ იარაღად აქციეს იგი. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: უკვე მცხეთაში მოწყობილი ლაშქრობის შემდეგ ფიზკულტურის კოლექტივის წევრთა რიცხვი ერთბაშად გაიზარდა 900-მდე!..

ამრიგად, მასობრიობის საკითხი მოგვარდა; სხვადასხვა სპორტულ სექციებში ასობით ჯანღონით სავსე, ფიზიკურ ვარჯიშს მოწყურებული ახალგაზრდა მიაწყდა. ახლა საჭირო იყო კოლექტივის ორგანიზაციული განმტკიცება და კამპანიური ხასიათის ღონისძიებების შეცვლა გეგმაზომიერი, სისტემატური მუშაობით.

1949 წლიდან საწარმოს ფიზკულტურულ ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები დაიწყო, დახაბამი მიეცა ცალკეულ საამქროებში ფიზკულტურული ჯგუფების შექმნას, ხოლო ყოველ მათგანს ხელმძღვანელობისათვის მიემაგრა ფიზკულტურული საბჭოს რომელიმე წევრი. ეს არ იყო ადვილი სამუშაო, მაგრამ იგი მეტად კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა და ძალების უდიდეს დაძაბვადაც ღირდა. მითუმეტეს, რომ ფიზკულტურელები მარტონი არ იყვნენ ამ საქმეში: მათ აქტიურად ეხმარებოდა დირექცია და პარტორგანიზაცია. 1949 წლის ბოლოსათვის კოლექტივი უკვე დიდ ორგანიზაციულ გამარჯვებას ზეიმობდა — ყოველ მსხვილ საამქროში შეიქმნა დამოუკიდებელი ფიზკულტურული კოლექტივი საკუთარი საბჭოებით; ამავე წელს, საწარმოს პირველ ფიზკულტურულ კონფერენციაზე არჩეულ იქნა საერთო ფიზკულტურული საბჭო, რომელიც უკვე 1.200-იან კოლექტივს ედგა სათავეში.

ტრანსპორტელთა ცდებს სპორტული ოსტატობის დაუფლებისათვის მალე ბრწყინვალე შედეგებიც მოყვა: მათი ფეხბურთელთა გუნდი 1951 წელს საქართველოს თასის მფლობელი გახდა და საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში მხოლოდ მერვედფინალში დამარცხდა „ა" კლასის გუნდთან — ვვს-თან, ხოლო 1957 წელს მოიპოვა ფიზკულტურის კოლექტივებისათვის დაწესებული საკავშირო თასი. და არა მხოლოდ ცალკეულ სპორტულ სახეობებში, არამედ მთელ რიგ კომპლექსურ შეჯიბრებებშიც თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს კოლექტივი უკვე გამოდიოდა როგორც ძალა, რომელიც ყველაზე აღიარებული ფავორიტებისათვისაც კი საშიშ მეტოქედ იყო მიჩნეული და რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო დაჯერებით მიდიოდა წინ: 1953 წლის შემდეგ თბილისის საწარმოთა ფიზკულტურის კოლექტივების ტრადიციულ სპარტაკიადებზე ტრანსპორტელებმა ზედიზედ, თანმიმდევრულად მოიპოვეს ჯერ მესამე, შემდეგ მეორე, და ბოლოს — პირველი ადგილი საერთო ჩათვლაში, 1957 წელს კი აქაურმა ფიზკულტურის კოლექტივმა ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც ბრწყინვალედ დაიცვა თავისი საწარმოს სპორტული ღირსება — პირველი ადგილი მოიპოვა სამხრეთ რსფსრ-სა და კავკასიის რესპუბლიკების ფაბრიკა-ქარხნების, შახტებისა და მშენებლობათა სპარტაკიადაზე, რომელიც პროფკავშირთა საკავშირო საბჭომ მოაწყო.

## დღეს

ეს ყველაფერი იმის შედეგი იყო, რომ ფიზკულტურული კოლექტივის ინტერესები ერთნაირად ახლო მიჰქონდათ გულთან არა თვით ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, არამედ საწარმოს ხელმძღვანელებსაც, პარტორგანიზაციასაც, პროფკავშირებსაც; რომ სპორტულ სექციებში, მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნა მასობრიობა, ძირითადი ყურადღება უკვე მაღალკვალიფიციური სპორტსმენებისა და გუნდების მომზადებას ექცეოდა; რომ ახალ, მთავარ საბრძოლო ამოცანად დადგა თანრიგოსანთა მრავალრიცხოვანი, მძლავრი ბირთვის შექმნა, რაც წარმატებით განხორციელდა კიდეც.

მიმდინარე წლისათვის თბილისის ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს, სადაც ოცი სპორტული სახეობაა დანერგილი, უკვე ჰყავდა 30 სპორტის ოსტატი, 69 პირველთანრიგოსანი, 150 მეორე და 328 მესამე თანრიგის მქონე სპორტსმენი.

მაგრამ, თავის მხრივ, ასეთი შედეგების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ტრანსპორტელებს თავიდანვე სათანადო ყურადღება არ მიექციათ სპორტული ბაზების შექმნის უმნიშვნელოვანესი საკითხისათვის, რომ მათ თავიდანვე პრაქტიკულად არ მოეკიდათ ხელი მისი განხორციელებისათვის. მარტივი ტიპის ზემოაღნიშნული მოედნის შექმნის შემდეგ სამმართველოს ფიზკულტურელთა ძალებით და ხელმძღვანელობის ნამდვილი, ქმედითი დახმარებით შეიქმნა ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საწყლოსნო სადგური ლისის ტბაზე, საჭიდაო დარბაზი, დიდი და კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, სადაც ნაყოფიერად გაიშალა ტანვარჯიშის, კალათბურთის, ფრენბურთის, ფარიკაობისა და სხვა სექციების მუშაობა... და ბოლოს, მდიდარი ბაზის შექმნისათვის დაუცხრომელი ბრძოლა დაგვირგვინდა ფიზკულტურული სახლის შექმნით.

დღეს თბილისის ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს აქვს სპორტული ბაზების ისეთი ფართო და მრავალმხრივი ქსელი, რომელიც თამამად აკმაყოფილებს მრავალათასიანი საწარმოს სპორტულ მოთხოვნილებებს, ემსახურება 3 ათასზე მეტ ტრანსპორტელ ფიზკულტურელს, მათ ღონისძიებებს — შეჯიბრებებს, სპარტაკიადებს, რომლებიც აქ რეგულარულად ტარდება.

ამ სისტემატურობას საფუძვლად უდევს სპორტული სექციებისა და საერთოდ, ფიზკულტურული კოლექტივის სანიმუშო ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად საზოგადოებრივ საწყისებზეა დაფუძნებული. გეგმიერ მუშაობასთან ერთად აქ ფართო გასაქანი აქვს მიცემული თვითმოქმედებასა და ინიციატივას. სწორედ ამ საწყისებზე გამოირჩნენ და საწარმოს ფიზკულტურელთა შორის აღიარებული ავტორიტეტი დაიმსახურეს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ენთუზიასტებმა და ინიციატორებმა: მთავარი სამმართველოს უფროსმა, გაერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ მ. ჩიქვაიძემ, ტრამვაის პირველი საამქროს უფროსმა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. სამადაშვილმა, ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსმა და ამავე სამმართველოს ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარემ გ. როხვაძემ, ელექტრომეურნეობის დარგის უფროსმა, ყოფილმა ფეხბურთელმა რ. კოტრიკაძემ, რომელიც ახლაც სალისით მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებებში, ტაქსის მძღოლმა სპორტის ოსტატმა შ. ზუკაკიშვილმა, რომელიც საზოგადოებრივი წესით ხელმძღვანელობს ქართული ჭიდაობისა და სამბოს სექციებს, ავტოსპორტის სექციის ხელმძღვანელმა ვ. ბეტანოვმა, ინჟინერმა ე. დავიდენკომ, რომელიც პირველთანრიგოსანი ჩოგბურთელია და ხელმძღვანელობს სექციებს, თავიანთ უბნებზე ფიზკულტურული მუშაობის ნამდვილმა მოამაგეებმა — სამმართველოთა უფროსებმა მ. ურთქმელიძემ, გ. გოგოლაძემ, დ. ქვარაცხელიამ, თანამშრომლებმა ა. მირზოევმა, ვ. ირემაძემ და ბევრმა სხვამ — საზოგადოებრივმა ორგანიზატორებმა, მწვრთნელებმა, მსაჯებმა...

სწორედ აქ ჩამოთვლილი ადამიანებისა და საწარმოს ყოველი აქტიური ფიზკულტურელისადმი მილოცვის დეპეშა მოვიდა სულ ახლახან მოსკოვიდან სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარისაგან, რომელიც მათ ატყობინებდა ფიზკულტურული კოლექტივის საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოებასა და ახალ გამარჯვებებს უსურვებდა კეთილშობილურ საქმიანობაში.

## პერსპექტივები, ამოცანები

თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივისათვის სპორტული კლუბის წოდების მინიჭების საკითხი ერთხელ უკვე იდგა. ტრანსპორტელებს „უმტყუნა" მხოლოდ ორიოდე პუნქტმა, რომლებსაც „საწარმოს სპორტული კლუბის დებულება" ითვალისწინებს. შარშან ტრანსპორტელ ფიზკულტურელთა რიცხვი — 2.526 — საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა 32 პროცენტს შეადგენდა ნაცვლად 40-ისა, რასაც დებულება ითვალისწინებს; დადგენილ ნორმაზე ნაკლები სალხი იყო ჩაბმული საწარმოო ტანვარჯიშში და ნაწილობრივ მოუგვარებელი იყო კოლექტივთან ბავშვთა სპორტული სკოლის ფორმირების საკითხი.

ეს და ზოგი სხვა საკითხიც ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ თავისი მომავალი მუშაობის მთავარ, საბრძოლო ამოცანად დაისახა. ბრძოლისუნარიანმა კოლექტივმა განვლილი რამდენიმე თვის მანძილზე უკვე მოიპოვა კიდეც ამ მიმართებით თვალსაჩინო წარმატებები. ფიზკულტურელთა რიცხვი დღეს უკვე 3.027-ია, ხოლო საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულთა რიცხვმა 1.694-ს მიაღწია გასული წლის 1.475-ის საპირისპიროდ. რაც შეეხება ბავშვთა სპორტსკოლის შექმნის საკითხს, ის ფაქტიურად უკვე 1954 წლიდან არის გადაწყვეტილი, მაგრამ ახლა საბოლოოდ უნდა დადგინდეს: საწარმომ შეფობა იკისრა თბილისის მე-100 სკოლაზე და თავის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებთან ერთად ამ სკოლის მოსწავლეებით დააკომპლექტა კალათბურთისა და ტანვარჯიშის ბავშვთა სექციები, სადაც ახლა 150-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი მეცადინეობს.

და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ეს არის გზა კეთილშობილური, საამაყო მიზნისაკენ, გზა სპორტული კლუბის წოდების მოპოვებისაკენ.

შ. ჯულელი

### XVII ყრილობის შესახვედრად

### პირველ ადგილზე

სიმფეროპოლში გაიმართა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს საქართველოს სპორტსმენებმა. ორმა მათგანმა — ო. კანდელაკმა და ვ. არსენიანმა პირველი ადგილები დაიკავეს.

მეორე საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ი. ვალიშვილი, ვ. კვახაძე და შ. ლომიძე. ამასთან აღსანიშნავია, რომ შ. ლომიძემ ფრედ დაამთავრა შეხვედრა ბ. გურევიჩთან.

# „ჯირო-იტალია“ და სპეკულანტები

საერთაშორისო სპორტულ სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობს ველორბოლა იტალიის გარშემო, რომელსაც „ჯირო-იტალიას“ უწოდებენ. ესა პროფესიონალ ველოსიპედისტთა უდიდესი შეჯიბრება, სადაც ცნობილი „ვარსკვლავები“ მონაწილეობენ.

შეჯიბრებას სტარტი ეძლევა ტურინში. იქ, სადაც 100 წლის წინათ საზეიმოდ იქნა გამოცხადებული იტალიის რესპუბლიკა. საერთოდ, შეჯიბრებაც ამ ღირსშესანიშნავი დღისადმია მიძღვნილი.

რბოლის მთელ ტრასაზე, რომელიც აპენინის მთელ ნახევარკუნძულს, სარდინიასა და სიცილიას გასდევს (რბოლის საერთო სიგრძე დაახლოებით 4 ათასი კილომეტრია), მონაწილეებს ხვდებიან დიდი ზეიმითა და ცერემონიებით.

და სწორედ მაშინ, როცა იტალიელი სპორტის მოყვარულები ამგვარი სიხარულით ეგებებიან ხოლმე რბოლის დაწყებას, ბიზნესმენთა ერთი ნაწილი გაცხარებულ საქმიანობაშია და დიდ შემოსავალს მოელის „ჯირო-იტალიისაგან“.

არა მარტო იტალიის, არამედ მთელი დასავლეთ ევროპის საქციონერო ორგანიზაციები და კომპანიები ცდილობენ ველოსიპედისტთა კოლონა მრავალფეროვან ცოცხალ რეკლამად აქციონ. მონაწილეთა მაისურები, ქუდები, თვით ველოსიპედები ამ დროს წარმოადგენენ ფირმების სარეკლამო პლაკატებს, თუმცა ამ ფირმებს არავითარი კავშირი სპორტთან არა აქვთ.

როცა შარშან „ჯირო-იტალია“ მოიგო განთქმულმა ფრანგმა ველოსიპედისტმა ჟაკ ანკეტილმა, მასზე უფრო მეტად გახარებული დარჩა ლიქიორებისა და კონიაკის საქციონერო საზოგადოება „ფინესკის“ დირექცია. მთელს ევროპას მოედო ცნობა იმის შესახებ, რომ ჟ. ანკეტილმა რბოლა მოიგო მხოლოდ იმიტომ, რომ იცავდა „ფინესკის“ და არა „კარპანოს“ ინტერესებს, რომლის ინტერესების დამცველმა ჰ. ლენჩინიმ მეორე ადგილი დაიკავა.

ანალოგიური რეკლამა გაიკეთა „ფაემას“ ფირმამ, რომელიც ამზადებს ხილის წიწვილებს ყავის მარცვლების დასაფქვავად. თუმცა ფირმის წარმომადგენელმა ვერ ლიმ გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ეტაპზე.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ბიზნესმენები არც მომავალში გაუშვებენ ხელიდან შემთხვევას სარეკლამოდ გამოიყენონ „ჯირო-იტალია“.



მალე ლონდონში ვიქნებით, მაგრამ ჩემთვის — 18 წლის თბილისელისათვის მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უდიდესი და თავისებური ქალაქის ნახვა რატომღაც ისეთ მღელვარებას არ იწვევს, როგორსაც უცხოეთში პირველად მოხვედრილი ადამიანი გრძნობს ხოლმე.

ეს შეიძლება იმითაც აიხსნება, რომ მრავალი კინოსურათისა და დოკუმენტური ფილმის ნახვამ ლონდონი და მისი ღირსშესანიშნაობანი ჩემთვისაც ახლობელ და ნაცნობ სინამდვილედ აქცია.



საჰაერო ხომალდ „სუპერ კონსტელეიშენიდან“ ლონდონის კონტურებიც გამოჩნდა, მაგრამ ჩემი ფიქრი კვლავ იმ კადრებისა და წაკითხული სტრიქონების მიღმა ტრიალებს, რაც არც ჩვენს კინოოპერატორებს აღუბეჭდიათ ფირზე და არც რომელიმე ჟურნალისტს აუწერია დაწვრილებით — ესაა ჩემთვის უცნობი ბალახის კორტები და უიმბლდონის ტურნირი, რომელიც ყველა ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატს წარმოადგენს.

წელს საიუბილეო—75-ე ჩემპიონატია და მარტოოდენ მასში მონაწილეობის ფაქტი რამდენადმე ზრდის ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელთა დელეგაციის პასუხისმგებლობას. ჩვენ შორის ბალახიან კორტებზე თამაშის ნათლობა უკვე აქვთ მიღებული ა. დმიტრიევას, ს. ლიხაჩოვსა და თ. ლეიუსს, რომელმაც 1959 წელს უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონობაც მოიპოვა ჭაბუკთა შორის. მოზარდებიდან მხოლოდ მე და კიეველი მოსწავლე — გალინა ბაკშეევა ვართ, რომლებიც პირველად უნდა ვეზიაროთ ბალახზე თამაშს.

ინგლისში ჩოგბურთის პოპულარობაზე წარმოდგენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თუ ჩვენში სპორტული ბაზების უმრავლესობას კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები წარმოადგენენ, იქ გაბატონებული მდგომარეობა ჩოგბურთის კორტებს ეკავათ, კორტებს, რომლებსაც შეხვდებოდით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ჩოგბურთი ინგლისელთა ეროვნული სპორტია და მას თითქმის იმდენივე მაყურებელი ჰყავს, რამდენიც ფეხბურთს.

ბეკმენის ტურნირზეც კი, რომელიც უიმბლდონის ტურნირისათვის მზადების ან უფრო სწორად აკლიმატიზაციის პირველ საფეხურს წარმოადგენდა, პირველ დღეებში 40 ათასამდე მაყურებელმა მოიყარა თავი პარკში გაბნეულ 15 კორტზე ერთდროულად გამართულ მატჩებზე დასასწრებად. შემდეგში, ფინალური შეხვედრის მოახლოებისთანავე, მათი რიცხვი მკვეთრად მცირდებოდა; ეს იმით აიხსნება, რომ ფინალური მატჩები მხოლოდ ცენტრალურ კორტებზე ტარდებოდა, ტრიბუნები 15 ათასი კაცის მეტს ველარ იტევდა და დანარჩენი გულშემატკივრები ტელევიზორებით ადევნებდნენ თვალყურს დაძაბული ბრძოლების პერიპეტიებს.

ჩემი გაცნობა ბალახიან კორტებთან ავსტრალიელ ჰილდენბრანდთან შეხვედრით დაიწყო. ბურთი ძალიან სწრაფად და დაბლა ირეკნებოდა მოედნიდან, ნელი დარტყმის შემთხვევაში კი იქვე რჩებოდა ბალახზე. შეუჩვევლობამ თავისი დაღი დაასვა ჩემს თამაშს და იძულებული გავხდი გამარჯვება მიმელოცა ჩემი პირველივე მოწინააღმდეგისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბურთის არეკნის სისწრაფემ საგრძნობლად იმატა შემდგომში „სამეფო კლუბისა“ და უიმბლდონის კორტებზე. როგორც ამიხსნეს ამ პირობების შექმნას ბალახის ჯიშისა და ხარისხის შეცვლით აღწევენ.

ჭაბუკთა შეხვედრებისათვის უკვე ათვისებული მქონდა ბალახოვანი ხავერდის ყველა ეს თავისებურება და ისევე თავისუფლად ვმოქმედებდი უცხო მოედანზე, როგორც ჩემთვის საყვარელ თბილისის „დინამოს“ კორტებზე.

შედეგმა არ დააყოვნა და არც თუ ისე ძნელ გამარჯვებას მივაღწიე ინგლისელ სტრიტთან შეხვედრაში. მომდევნო ეტაპზე დამარცხებულის ბედი გაიზიარა ამერიკელმა ჰილმაც და როცა ფინალში დავამარცხე (6:2, 6:0) შვედი ებერშტეინი, რითაც ბეკმენის ტურნირის ჩემპიონობა მოვიპოვე, უკვე მეც გამიჩნდნენ ინგლისელი გულშემატკივრები, რომლებიც ჩემს სახელს ვერ გამოთქვამდნენ და ნუზორად, ნუგარად, ნუტორად და ათასნაირი მსგავსი სახელით მნათლავდნენ.

...გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა გალინა ბაკშეევა, პრიზიორთა რიგებში იყვნენ დმიტრიევა და კუზმენკოც. მოკლედ, ჩვენმა ჩოგბურთელებმა კარგი სტარტი აიღეს უიმბლდონისკენ მიმავალ გზაზე.

ჩოგბურთის ქართველი გულშემატკივრებისათვის ურიგო არ იქნება იქაური მსაჯობის ზოგიერთი თავისებურება. ჩოგბურთი ინგლისში იმდენად პოპულარულ სპორტად ითვლება, რომ მსაჯებად მხოლოდ და მხოლოდ ხანშიშესულ, საპატივცემულო პირებს ნიშნავენ. თუმცა ჩვენ — მონაწილენი უფრო ვარჩევდით ე. წ. ჯენტლმენურ მსაჯობას ე. ი. თამაშის დროს თვითონ ვიყავით საკუთარი თავისა და მოწინააღმდეგის მსაჯულნი. ამგვარი




მსაჯობა იმდენად ობიექტური იყო, რომ პროტესტის ნიშანწყალიც არ ყოფილა რომელიმე შეხვედრაში, ხოლო თუ როგორი მსაჯობა უფრო აწყობდა მოთამაშეს, ეს კარგად გამოჩნდა „დაუნ-ტენისის“ კლუბში გამართულ მეჯლისზე, სადაც ხანშიშესულ მსაჯთა სადღეგრძელოს შესმის დროს დარბაზის უჩვეულო დრტვინვამ ჯენტლმენური მსაჯობის მომხრეთა თავისებური პროტესტი გამოხატა.

აქვე გავეცანი პირველად საყოველთაოდ ცნობილ ინგლისურ სიდინჯეს: ადგილობრივი გულშემატკივრები უაღრესად დაძაბული თამაშის დროსაც კი არ კარგავდნენ ოლიმპიურ სიმშვიდეს და მათ ფონზე კონტრასტულად ისახებოდა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელის და მწვრთნელის ს. ანდრეევის ყოველი წამოხტომა თვითეული ჩვენთაგანის მიერ დაშვებული შეცდომების დროს. ნათქვამია, „სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო“ — ს. ანდრეევი დაემორჩილა ამ დაუწერელ კანონს და სამეფო კლუბისა და უიმბლდონის ტურნირებზე უკვე არაფრით განსხვავდებოდა ლონდონელი მაყურებლებისაგან,

არასახარბიელო შედეგებით აღინიშნა სამეფო კლუბის ტურნირის პირველი დღე ლიხაჩოვისა და ლეიუსისათვის. პირველმა წააგო ავსტრალიელ მარკთან, ხოლო მეორემ — ამერიკელ ფროსტთან.

— საოცარია, ორი წლის წინ მე ვუყურე ფროსტის დამარცხებას ა. პოტანინთან. მაშინ მან თითქმის არ იცოდა თამაში, ახლა ის სულ სხვა ჩოგბურთელია და მისი ძალების შეუფასებლობამ პირველ ტურშივე გამოთიშა შეჯიბრებიდან, — შემომჩივლა ლეიუსმა.

ამჯერად გულთან ახლოს არ მიმიტანია მისი დამარცხება, რადგან საკუთარ თავზე უნდა მეზრუნა: მოზრდილთა შორის დებიუტანტს პირველი შეხვედრა უნდა ჩამეტარებინა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონისა და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის ი. იავორსკის წინააღმდეგ, იმ იავორსკისა, რომლის წინაშე არაერთხელ დაუყრიათ ფარხმალი ანდრეევს, ლიხაჩოვს, მოზერს, ლეიუსსა და საბჭოთა კავშირის სხვა ცნობილ ჩოგბურთელებს.

მაღალი, ხმელხმელი აგებულების ჩეხი შესანიშნავად იყენებს მკვეთრ უმოკლეს დარტყმებს, რასაც მშვენივრად უხამებს ბადესთან გამოსული მოწინააღმდეგის თავსზევით მოჭრილი შვეული ბურთის დარტყმას; ამასთან მას ახასიათებს მაჯის ისეთი შეუმჩნეველი ტრიალი, რომ უშუალო დარტყმამდე თითქმის შეუძლებელია ბურთის მიმართულების გამოცნობა.

ნ. მძინარიშვილი,

(დასასრული იქნება)

სურათებზე: მარცხნივ — ნ. მძინარიშვილი; მარჯვნივ — ლონდონის ერთ-ერთი გაზეთის გვერდი, სადაც მოთავსებულია ნ. მძინარიშვილის სურათი და სტატია მასზე.

## ალაზანზე ზაფხულია

ზაფხულია და ალაზანს
გაუშლია მხრები,
ბახტრიონთან მის ცივ ტალღებს
კვლავ ღიმილით ვხვდები...
მენატრება წყალში ხტომა
და მზე მწველზე მწველი,
მენატრება სიჭაბუკის
გაფრენილი წლები.
კვლავაც მინდა შენთან ყოფნა,
განა რამე მიშირს.
მენატრები მზითდამწვარი,
კუნთმაგარი ბიჭი.
განა ცურვა დამავიწყდა,
მკერდში ჩადგა შიში?
არა,
ისევ მოჩანს ლოდი,
ზვირთზე ზვირთს რომ იფშვნის.
აი, ამან მოგონება
გულში დამიტოვა.
აქ პირველად შენ გაბედე
ამ ლოდიდან ხტომა.
გადაცურე ვაჟკაცურად,
გადაგვევლო ტალღა.
ჩქერი უკან დაიდევნე,
არ გიგრძვნია დაღლა.
სიჭაბუკის მოგონება
ბობოქრობს და მძლავრობს,
ალაზანზე ზაფხულია
ჰეი, სად ხარ ძმაო.

ვ. ყუშიტაშვილი

## ამერიკელთა დამარცხება

საბჭოთა მძლეოსნებთან ასპარეზობის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩასული ამერიკელ მძლეოსან ქალთა გუნდი კარლსრუეში შეხვდა გფრ-ს ქალთა ნაკრებს და სერიოზული დამარცხება განიცადა — 38:66. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობაში დამყარებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ორი ეროვნული რეკორდი: სიგრძეზე ხტომაში — 6 მ 41 სმ (უაიტი) და 800 მეტრზე რბენაში — 2.13,1 (დანიელსი).

რედაქტორი ი. უგულავა.

# 25 ივლისი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი



„დინამო“ (თბილისი)-„ტრუდი“ (ვორონეჟი)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. [illegible] 01083